

სკრინინგის ანგარიში შემუშავებულია საკონსულტაციო კომპანია

„აგრო სოლუშენს“-ის მიერ

კომპანიის რეგისტრაციის ნომერი: 419997007

რეგისტრირებული ოფისის მისამართი: საქართველო, თბილისი, ვაკის რაიონი,
ნუცუბიძის ქ. N139 ბინა #8

კომპანიის დირექტორი: დიანა ბერია

ტელეფონის ნომერი: 577 15 23 39 / 0322 500-118

ელექტრონული ფოსტის მისამართი: diana@as.ge

შპს „ბუნება“
 მუნიციპალიტეტი ხონი, სოფელი ნახახულევი

**სამელიორაციო სისტემის მოწყობა/ექსპლუატაციის
 სკრინინგის ანგარიში**

კომპანიის დასახელება	შპს ბუნება
საიდენტიფიკაციო კოდი	402 182 115
მდებარეობა	ხონის მუნიციპალიტეტი, სოფელი ნახახულევი
დაგეგმილი საქმიანობა	პავლოვნის პლანტაციის გაშენება
გასაშენებელი ბაღის საკადასტრო კოდი	ს/კ: 37.05.39.583 37.05.39.582
საქმიანობის სახე	სამელიორაციო სისტემის მოწყობა და ექსპლუატაცია
დირექტორი	არკადი გარსევანიშვილი
საკონტაქტო ტელეფონი	577 15 23 39

ზოგადი ცნობები

შპს „ბუნება“ ს/კ 402 182 115, ხონის მუნიციპალიტეტში, სოფელ ნახახულევში ფლობს 18.9 ჰექტრიან სასოფლო-სამეურნეო ნაკვეთს (საკადასტრო კოდი: 37.05.39.583; 37.05.39.582) და გეგმავს სასოფლო-სამეურნეო საქმიანობას, პავლოვნიის პლანტაციის გაშენებას. ზღის მოსარწყავად იგეგმება წვეთოვანი მორწყვის ქსელის მოწყობა.

სკრინინგის განცხადებაში წარმოდგენილი წლიურად მოხმარებული წყლის რაოდენობა 23 310 მ³ გაანგარიშებულია 18.9 ჰა მიწის ნაკვეთის მორწყვისათვის.

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ II დანართის პირველი პუნქტის 1.3 ქვეპუნქტის შესაბამისად, დაგეგმილი საქმიანობა, რომელიც დაკავშირებულია სასოფლო-სამეურნეო ფართობზე სამელიორაციო სისტემის მოწყობასთან, ექვემდებარება სკრინინგის გადაწყვეტილებას.

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-7 მუხლის შესაბამისად შემუშავებული იქნა სკრინინგის ანგარიში.

წარმოდგენილი ანგარიში მოიცავს ინფორმაციას დაგეგმილი საქმიანობის შესახებ:

- ✓ საქმიანობის განხორციელების ადგილის შესახებ

საქმიანობის მოკლე აღწერას, კერძოდ, ზოგად ინფორმაციას:

- ✓ საქმიანობის ფიზიკური მახასიათებლების შესახებ
- ✓ ზოგად ინფორმაციას გარემოზე შესაძლო ზემოქმედების, მისი სახეების და მასშტაბების შესახებ

ასევე, ანგარიში მოიცავს ინფორმაციას დაგეგმილი საქმიანობის განხორციელებით, ბუნებრივ გარემოზე, ადამიანის ჯანმრთელობაზე, სოციალურ გარემოზე, კულტურული მემკვიდრეობის ძეგლსა და სხვა ობიექტზე შესაძლო ზემოქმედების შესახებ.

ანგარიში შესრულებულია საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობის მოთხოვნათა სრული დაცვით.

სკრინინგის ანგარიშს თან ახლავს დანართები:

დანართი #1 მიწის საკუთრების დამადასტურებელი ამონაწერი საჯარო რეესტრიდან

დანართი #2 ქონების მართვის სააგენტოს თანხმობა

დანართი #3 ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან

დანართი #4 წყალაღების წერტილის GPS კოორდინატები და SHAPE ფაილები

ტექნოლოგიური პროცესის აღწერა

სარწყავი წყლის აღება ხდება მდინარე ზემო კუხიდან, მდინარე კუხის წყალსაცავიდან მოედინება და გაუყვება ნაკვეთს. კუხის წყალსაცავი ხონის მუნიციპალიტეტის ყველაზე დიდი წყალსაცავია (წყალსაცავი მდინარე ზემო კუხზე) რომელიც, მდებარეობს ხონის მუნიციპალიტეტის სოფ. ახალბედისეულის სამხრეთით.

წყალსაცავი	მდინარე	მოცულობა მლნ მ3		წყლის ზედაპირის ფართობი ნშდ-სთვის კმ2	დანიშნულება
		სრული	სასარგებლო		
კუხის	კუხისწყალი	1,9	1,85	0,3	მორწყვა

წყარო: სასწავლო კურსი. ვაჟა ტრაპაიძე (2012 წელი)

ბალის მოსარწყავად იგეგმება წვეთოვანი სისტემის მოწყობა. (იხილეთ რუკა #1) სარწყავი სისტემა წყლით მომარაგდება მდინარე ზემო კუხიდან აღნიშნული ნაკვეთიდან, მდინარე დაშორებულია 190.04 მეტრით.

საპროექტო ტერიტორიასა და მდინარეს შორის მონაკვეთი სადაც უნდა განხორციელდეს სატუმბი სადგურის მონტაჟი და წყალსაქაჩი მილების გატარება ამჟამად არის სახელწმიფოს საკუთრებაში, სკრინინგის დოკუმენტს დანართის სახით თან ახლავს ქონების მართვის სააგენტოსთან გაფორმებული შეთანხმება (იხ. დანართი #2)

რუკა №1 მდინარე ზემო კუხადან ნაკვეთამდე წყლის მიყვანის გეგმა



წყალღების წერტილის მოსაწყობად არ იგეგმება რაიმე ტიპის ბეტონის ან ლითონის კონსტრუქციის ჩადგმა. გარდა ამისა, არ ჩატარდება არანაირი სამშენებლო სამუშაოები, შესაბამისად ადგილი არ ექნება რაიმე ტიპის სამშენებლო ნარჩენის წარმოქმნას.

წყალღების წერტილის კოორდინატები:

x	y
4691937.665	291411.239

მდინარიდან წყლის ამოქაჩვა მოხდება ელექტრო ტუმბოს საშუალებით, 90 მმ. დიამეტრის მქონე პოლიეთილენის მილით. ელექტრო ტუმბო და მილი მოთავსდება ჭაში. მიწის ნაკვეთზე ელექტროენერგია შეყვანილია, შესაბამისად, ელ. ტუმბოს მუშაობისთვის ამ მხრივ დამატებითი სამუშაოების განხორციელება არ იგეგმება. გარდა ამისა, საპროექტო ტერიტორიამდე, ტუმბოს მუშაობისთვის საჭირო არ იქნება ეგზ-ის გაყვანა.

ჭიდან, ნაკვეთამდე წყლის მიყვანა მოხდება 90 მმ დიამეტრის მქონე მილით, რომელიც ჩაიდება მიწის ქვეშ, რისთვისაც გაიჭრება ტრანშეა. ტრანშეის (60X50) გაჭრის დროს წარმოქმნილი ნიადაგის ფენა მილის ჩადების შემდეგ უკუმიყვრება გათხრილ ტერიტორიას.

დამატებით ნიადაგის ფენაზე რაიმე ტიპის ზემოქმედება არ იგეგმება. გარდა ამისა, მიწისქვეშა კომუნიკაციების ზემოთ შესაძლებელი იქნება სასოფლო-სამეურნეო სამუშაოების წარმოება.

ნაკვეთის კუთხეში სადაც შემოდის მდინარიდან მომავალი მილი გათვალისწინებულია საფილტრაციო და სასუქის შემრევი სადგურის მოწყობა, საფილტრაციო და სასუქის შემრევი სისტემის მოსაწყობად კი საჭირო იქნება არმირებული მოედნის (3X4მ) მოწყობა.

სკრინინგს დანართის სახით თან ახლავს სატუმბი სადგურის განთავსების და წყალაღების წერტილის shp ფაილები.

ელ. ტუმბოს ძირითადი ტექნიკური პარამეტრები:

1. წარმადობა: 16 m³/h
2. წნევა: 4.7 ბარი
3. ძრავის სიმძლავრე: 5.5 კვტ. 2900 ბრუნვის სიხშირე წუთში

ტუმბოს მოდელი

IR40-200 B



წყლის მოხმარებული მოცულობა წელიწადში შეადგენს 23 310 კუბურ მეტრს. წლიურად მოხმარებული წყლის რაოდენობა გაანგარიშებულია 18.9 ჰა მიწის ნაკვეთის მოსარწყავად.

გამოყენებული წყლის რაოდენობა თვეების მიხედვით ცვალებადია, მცენარეთათვის მორწყვის პერიოდი შეადგენს აპრილი-სექტემბრის თვეებს:

თვე	აპრილი	მაისი	ივნისი	ივლისი	აგვისტო	სექტემბერი
მოცულობა	3 885 მ ³	3 885 მ ³	3 885 მ ³	3 885 მ ³	3 885 მ ³	3 885 მ ³

სისტემა გათვლილია მაქსიმალურ მოთხოვნილებაზე.

საქმიანობის პროცესში გამოყენებული წყლების ჩაშვება წყალსატევებში არ მოხდება.

პროექტით არ არის გათვალისწინებული რეზერვუარის მშენებლობა.

ტერიტორია უზრუნველყოფილია მისასვლელი გზის გზით, შესაბამისად ნაკვეთამდე მისასვლელად რაიმე ტიპის სამშენებლო სამუშაოები განსახორციელებელი არ არის.

პროექტით განსაზღვრული სამუშაოების განხორციელებისთვის, სამშენებლო ბანაკის და შესაბამისი ინფრასტრუქტურის მოწყობა დაგეგმილი არ არის.

ზემოქმედება ბუნებრივ გარემოზე

ატმოსფერული ჰაერი

იქიდან გამომდინარე რომ პროექტით გათვალისწინებულია ელექტრო ტუმბოს გამოყენება, ატმოსფერულ ჰაერში არ მოხდება ტუმბოს მუშაობის შედეგად რაიმე ტიპის გაფრქვევა, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს ატმოსფერული ჰაერის დაბინძურება.

სამუშაოების დროს გარემოზე უარყოფითი ზემოქმედების ფაქტორებიდან შეიძლება აღვნიშნოთ სამშენებლო ტექნიკის გამონაბოლქვით გამოწვეული ატმოსფერული ჰაერის დაბინძურება, რომელიც ასევე, იქნება უმნიშვნელო და დროებითი ხასიათის.

ხმაური

გარემოს ხმაურით დაბინძურება მოსალოდნელია მხოლოდ მშენებლობის ეტაპზე - სატრანსპორტო საშუალებების მოძრაობით გამოწვეული. თუმცა აღნიშნული ზემოქმედებას აქვს დროებითი ხასიათი, რადგან სამუშაოები განხორციელდება შემჭიდროვებულ ვადებში.

ზემოქმედება კულტურულ და არქეოლოგიურ ძეგლებზე

სოფელი ნახახულევი მდებარეობს იმერეთის დაბლობზე, მდ. ცხენისწყლის მარცხენა ნაპირზე, ხონის მუნიციპალიტეტში, ზღვის დონიდან 130 მ-ზე, ხონიდან 4 კმ-ის დაშორებით.

სოფელი არ გამოირჩევა კულტურული, ისტორიული ღირსშესანიშნაობებით. სოფელში მდებარეობს წმინდა ბარბარეს სახელობის ეკლესია, რომელიც 2002 წელს აშენდა, თუმცა აღსანიშნავია, რომ საპროექტო ტერიტორია დიდი მანძილითა დაშორებული მითითებულ ეკლესიასთან, რაც გამორიცხავს, საქმიანობის შედეგად ისტორიულ-კულტურულ გარემოზე ზეგავლენას.

ნარჩენების წარმოქმნა

პროექტის სპეციფიკიდან გამომდინარე, დაგეგმილი სამუშაოების განხორციელებისას დიდი რაოდენობით ნარჩენების წარმოქმნა მოსალოდნელი არ არის. ძირითადად მოსალოდნელია მცირე რაოდენობის არასახიფათო ნარჩენების წარმოქმნა.

ინფორმაცია დაგეგმილი სამუშაოების განხორციელებისას წარმოქმნილი ნარჩენების შესახებ მოცემულია ცხრილში №1

ცხრილი №1 ინფორმაცია დაგეგმილი სამუშაოების განხორციელებისას წარმოქმნილი ნარჩენების შესახებ

ნარჩენის კოდი	ნარჩენის დასახელება	ნარჩენის ფიზიკური მდგომარეობა	სახიფათო დიახ/არა
15 01 01	ქალაქისა და მუყაოს შესაფუთი მასალა	მყარი	არა
15 01 02	პლასტმასის შესაფუთი მასალა	მყარი	არა
15 01 04	ლითონის შესაფუთი მასალა	მყარი	არა
17 09 04	შერეული სამშენებლო და ნგრევის შედეგად მიღებული ნარჩენები, რომლებსაც არ ვხვდებით 17 09 01, 17 09 02 და 17 09 03 პუნქტებში	მყარი	არა
20 03 01	შერეული მუნიციპალური ნარჩენები	მყარი	არა

იქიდან გამომდინარე, რომ სამუშაო არ საჭიროებს პერსონალის მუდმივად საქმიანობის განხორციელების ადგილზე ყოფნას, მინიმალური ალბათობა არსებობს საყოფაცხოვრებო ნარჩენების წარმოქმნაზე. შესაბამისად, დასაქმებულ პერსონალს პროექტის განხორციელებამდე და სამუშაოების დაწყებამდე ექნება შესაბამისი ინფორმაცია ნარჩენების სათანადო მართვის საკითხებთან დაკავშირებით.

კომპანიის ნარჩენების მართვის პოლიტიკა ნარჩენების პრევენციისკენ იქნება მიმართული. უპირატესობა მიენიჭება ნარჩენების პრევენციასთან დაკავშირებულ ღონისძიებებს, რომლებიც დაიწყება პროექტის საწყის ეტაპზევე.

ექსპლუატაციის ეტაპზე არ მოხდება ნარჩენების წარმოქმნა.

ნარჩენების წარმოქმნის შემთხვევაში, განხორციელდება მათი სწორი მართვა და შესაბამისად გატანილი იქნება მუნიციპალიტეტის ნაგავსაყრელზე. საპროექტო ტერიტორიაზე განთავსდება ურნა, რითაც მოხდება ნარჩენების შეგროვება-განთავსება.

საპროექტო ტერიტორიის ბიომრავალფეროვნების მიმოხილვა

ფლორისტული შემადგენლობის დახასიათება

დაგეგმილი საქმიანობის განხორციელების ტერიტორია გეობოტანიკური თვალსაზრისით (რ. ქვაჩაკიძე 2010) მიეკუთვნება იმერეთის გეობოტანიკური რაიონს.

აღნიშნული რაიონის მცენარეული საფარის საერთო ხასიათი კოლხურია, რელიქტური. აჭარა-გურიის რაიონთან შედარებით აქაური მცენარეულობის რელიქტურობის ხარისხი მნიშვნელოვნად დაბალია, რაც გამოიხატება მცენარეული საფარის შემადგენლობაში ტიპური რელიქტური ფიტოცენოზების ხვედრითი წილის შემცირებაში. მცენარეულობის სარტყლიანობის კოლხური ტიპი წარმოდგენილია 3 სარტყლით:

- ტყის
- სუბალპური
- ალპური

თავი სმხრივ ტყის სარტყელში საკმაოდ მკაფიოდაა გამოსახული 3 ქვესარტყელი:

- შერეული ფართოფოთლოვანი ტყეების ქვესარტყელი
- წიფლნარი ტყეების ქვესარტყელი
- მუქწიწვიანი ტყეების ქვესარტყელი

ამათგან ნახახულევის ტერიტორიაზე არსებული დაგეგმილი საპროექტო ტერიტორია გარკვეულწილად მოქცეულია შერეული ფართოფოთლოვანი ტყეების ქვესარტყელის ფარგლებში. ამ ქვესარტყელში ბუნებრივად გაბატონებულია პოლიდომინანტური შერეული ფართოფოთლოვანი ტყეები, რომელთა შემადგენლობაში წამყვანია შემდეგი სახეობები: კოლხური მუხა (*Quercus hartwissiana*), წაბლი (*Castanea sativa*), წიფელი (*Fagus orientalis*), რცხილა (*Carpinus betulus*). ასექტატორი სახეობებიდან ყველაზე ხშირად აღინიშნება – ცაცხვი (*Tilia caucasica*), მურყანი (*Alnus barbata*), ლეკა (*Acer platanoides*) და სხვა. მნიშვნელოვანი ტერიტორია უჭირავს მონოდომინანტურ და ბიდომინანტურ ფორმაციებს-რცხილნარს (*Carpinus betulus*), წიფლნარს (*Fagus orientalis*), წაბლნარს (*Castanea sativa*), წიფლნარ-რცხილნარს, წიფლნარ-წაბლნარს, მუხნარ-რცხილნარს და სხვა.

თუმცადა, აღსანიშნავია, რომ ამ ქვესარტყელში ძირეული ტყეები ადამიანის სამეურნეო საქმიანობის ძლიერ გავლენას განიცდიდა (ტყის უსისტემო ჩეხვა, პირუტყვის ძოვება ტყეში), განსაკუთრებით მთისწინების ზოლში, რის შედეგადაც ტყის საფარი ზოგან მთლიანად განადგურდა. ამავე მიზეზით ფართოდ გავრცელდა ტყისშემდგომი ნაირბუჩქნარები, მდელოები და გვიმრიანები (ეწრის გვიმრა - *Pteridium tauricum*). ფართო გავრცელებას აღწევს ასევე ტყის ასოციაციები ნაირბალახოვანი, მთის წივანას (*Festuca montana*) და ჩიტისთვალას (*Asperula odorata*) ცოცხალი საფარით.

უშუალოდ საქმიანობის განხორციელების ტერიტორია და მის მიმდებარედ არსებული არე მთლიანად წარმოდგენილია აგროლანდშაფტებით, სასოფლო-სამეურნეო ტიპის მიწებით, სადაც ვხვდებით მეორეულ გზებსაც. როგორც უკვე ითქვა დაგეგმილი საპროექტო ტერიტორია მთლიანად ანთროპოგენიზებულია, თუმცა ვიწრო ზოლისებრი ჩანართების სახით ვხვდებით ხე-მცენარეებსაც, სადაც ფართოფოთლოვანი ტყისთვის დამახასიათებელი კომპონენტებია წარმოდგენილი.

უშუალოდ საპროექტო დერეფნის ბუფერულ ზონაში გვხვდება ერთი ტიპის ჰაბიტატი, რომელიც ევროპის ბუნების ინფორმაციული სისტემის (European Nature Information System), EUNIS-ის ჰაბიტატების ნუსხის მიხედვით კლასიფიცირდება შემდეგ ჰაბიტატად:

- I რეგულარულად ან ახლახანს დამუშავებული სასოფლო სამეურნეო მიწები, ნაკვეთები ან საკარმიდამო ბაღები (რომელსაც უმნიშვნელოდ ერევა „G1 ფართოფოთლოვანი ტყის“ ჰაბიტატის მცირეოდენი ინდივიდები)

I - სასოფლო-სამეურნეო დასახლებებისა და სავარგულების ჰაბიტატის (რომელსაც ერევა ფართოფოთლოვანი ტყის რამდენიმე კომპონენტი) ამსახველი მცენარეთა სახეობრივი შემადგენლობის ნუსხა გამოიყურება შემდეგნაირად (იხ. ცხრილი N1):

ცხრილი N1. დაგეგმილ სამშენებლო ტერიტორიაზე წარმოდგენილი მცენარეთა სახეობრივი ნუსხა

N	ლათინური დასახელება	ქართული დასახელება	საქართველოს წითელი ნუსხა
1.	<i>Alnus barbata</i>	მურყანი	-
2.	<i>Acer platanoides</i>	ლეკა	-
3.	<i>Quercus iberica</i>	ქართული მუხა	-
4.	<i>Carpinus betulus</i>	რცხილა	-
5.	<i>Prunus sp.</i>	ტყემალი	-
6.	<i>Carum caucasicum</i>	კვლიავი	-
7.	<i>Tussilago farfara</i>	ვირისტერფა	-
8.	<i>Dipsacus lacianatus</i>	ბურბგლა	-
9.	<i>Lotus corniculatus</i>	კურდღლისფრჩხილა	-
10.	<i>Setaria viridis</i>	მწვანე ძურწა	-
11.	<i>Centaurea iberica</i>	ნარცეცხლა	-
12.	<i>Carduus nutans</i>	ნარშავი	-
13.	<i>Carlina vulgaris</i>	ნარისჯაგა	-
14.	<i>Chelidonium majus</i>	ქრისტესისხლა	-
15.	<i>Silybum marianum</i>	ბაყაყურა	-
16.	<i>Agrimonia pilosa</i>	ბირკავა	-
17.	<i>Taraxacum officinale</i>	ბაბუაწვერა	-
18.	<i>Urtica dioica</i>	ჰინჭარი	-
19.	<i>Agropyron repens</i>	მხოხავი ჭანგა	-
20.	<i>Achillea millefolium</i>	ფარსმანდუკი	-
21.	<i>Lamium album</i>	ჰინჭრის დედა	-
22.	<i>Plantago major</i>	მრავალძარღვა	-
23.	<i>Melilotus officinalis</i>	ძიძო	-
24.	<i>Bromopsis riparia</i>	შვრიელა	-
25.	<i>Senecio sp.</i>	თავყვითელა	-

ფაუნისტური შემადგენლობის დახასიათება

აღსანიშნავია, რომ ძუძუმწოვრებისთვის შერჩეული ტერიტორია, ძირითადად სამიგრაციო დერეფანს წარმოადგენს, აქ არ ვხვდებით რომელიმე სახეობისთვის დამახასიათებელ საცხოვრებელ ნიშას (გარდა მემინდვრიებისა, რომელთა სოროებიც აგროლანდშაფტებზე ხშირია). შეიძლება ითქვას, რომ მთლიანი დაგეგმილი საპროექტო არეალი ფაუნის წარმომადგენლებისთვის დაბალ სენსიტიურია, ვინაიდან ისინი მიგრირებენ და ფარავენ დიდ ტერიტორიებს, შესაბამისად დაგეგმილი ეს მცირე მასშტაბის საქმიანობა მათ ცხოვრების ნირსა თუ საცხოვრებელი გარემოს პირობებზე გავლენას არ მოახდენს.

ძუძუმწოვრებიდან (კლასი: Mammalia) ლიტერატურული მონაცემების მიხედვით აქ გავრცელებულია - მწერიჭამიებიდან: ზღარბი (*Erinaceus concolor*), თხუნელა (*Talpa levantis*), კავკასიური ბიგა (*Sorex satunini*), მღრნელებიდან: ჩვეულებრივი ძილგუდა (*Glis glis*), ბუჩქნარის მემინდვრია (*Terricola majori*), მცირე თაგვი (*Apodemus uralensis*), სტეპის თაგვი (*Sylvaemus fulvipectus*), და ა.შ. მტაცებლებიდან აღსანიშნავია: დედოფალა (*Mustela nivalis*), მაჩვი (*Meles meles*), მელა (*Vulpes vulpes*), ენოტი (*Procyon lotor*), და სხვა.

საკვლევ ტერიტორიაზე და მის შემოგარენში გავრცელებული შესაძლო სახეობების ნუსხა იხილეთ ცხრილ N2-ში.

ცხრილი N4. დაგეგმილი საქმიანობის განხორციელების ტერიტორიაზე გავრცელებული შესაძლო ძუძუმწოვრების სახეობები

N	ლათინური დასახლება	ქართული დასახლება	საქართველოს წითელი ნუსხა
1.	<i>Canis aureus</i>	ტურა	--
2.	<i>Dryomys nitedula</i>	ღნავი	-
3.	<i>Meles meles</i>	მაჩვი	
4.	<i>Microtus arvalis</i>	ჩვეულებრივი მემინდვრია	-
5.	<i>Mus musculus</i>	სახლის თაგვი	-
6.	<i>Mus macedonicus</i>	ველის თაგვი	-
7.	<i>Lepus europeus</i>	კურდღელი	-
8.	<i>Mustela nivalis</i>	დედოფალა	-
9.	<i>Apodemus mystacinus</i>	თაგვი	-
10.	<i>Sorex satunini</i>	კავკასიური ბიგა	-
11.	<i>Glis glis</i>	ჩვეულებრივი ძილგუდა	-
12.	<i>Terricola majori</i>	ბუჩქნარის მემინდვრია	-
13.	<i>Chionimys roberti</i>	მცირეაზიური მემინდვრია	-
14.	<i>Erinaceus concolor</i>	ევროპული ზღარბი	-
15.	<i>Talpa levantis</i>	თხუნელა	-
16.	<i>Vulpes vulpes</i>	მელა	-
17.	<i>Procyon lotor</i>	ენოტი	
18.	<i>Apodemus uralensis</i>	მცირე თაგვი	-

ფრინველებიდან (კლასი: Aves)-ლიტერატურული და საველე კვლევის შედეგების მიხედვით აქ გავრცელებულია: შოშია (შროშანი) (*Sturnus vulgaris*), სახლის ბელურა (*Passer domesticus*), ჩვეულებრივი ბოლოცეცხლა (*Phoenicurus phoenicurus*), ჭინჭრაქა (*Troglodytes troglodytes*), შავთავა გრატა (*Emberiza melanocephala*), ჩვეულებრივი ღაჟო (*Lanius collurio*), ჩვეულებრივი მელორღია (*Oenanthe oenanthe*), ჩვეულებრივი კაკაჩა (*Buteo buteo menetriesi*), ქორი (*Accipiter gentilis*), თეთრი ბოლოქანქარა (*Motacilla alba*), სკვინჩა (*Fringilla coelebs*), ქალაქის მერცხალი (*Delichon urbicum*), სოფლის მერცხალი (*Hirundo rustica*), შაშვი (*Turdus merula*), თოხიტარა (*Aegithalos caudatus*), გულწითელა (*Erithacus rubecula*), დიდი წივწივა (*Parus major*), რუხი ყვავი (*Corvus corone*), ყორანი (*Corvus corax*), ჩიტბატონა (*Carduelis carduelis*), და სხვ.

საკვლევ ტერიტორიაზე და მის შემოგარენში გავრცელებული შესაძლო ფრინველთა სახეობების ნუსხა იხილეთ ცხრილ N5-ში.

ცხრილი N5. საკვლევ ტერიტორიაზე და მის შემოგარენში გავრცელებული შესაძლო ფრინველთა სახეობები.

N	ლათინური დასახელება	ქართული დასახელება	საქართველოს წითელი ნუსხა
1.	<i>Accipiter gentilis</i>	ქორი	-
2.	<i>Passer montanus</i>	მინდვრის ბელურა	
3.	<i>Corvus corax</i>	ყორანი	
4.	<i>Corvus corone</i>	რუხი ყვავი	
5.	<i>Oenanthe oenanthe</i>	ჩვეულებრივი მელორღია	
6.	<i>Accipiter nisus</i>	მიმინო	
7.	<i>Pernis apivorus</i>	კრაზანაჭამია (ან ირაო)	
8.	<i>Hieraaetus pennatus</i>	ჩია არწივი	
9.	<i>Milvus migrans</i>	ძერა	-
10.	<i>Falco tinnunculus</i>	ჩვეულებრივი კირკიტა	-
11.	<i>Buteo buteo</i>	ჩვეულებრივი კაკაჩა	-
12.	<i>Hirundo rustica</i>	სოფლის მერცხალი	-
13.	<i>Delichon urbicum</i>	ქალაქის მერცხალი	-
14.	<i>Aquila nipalensis</i>	ველის არწივი	-
15.	<i>Falco columbarius</i>	ალალი	-
16.	<i>Lanius collurio</i>	ჩვეულებრივი ღაჟო	-
17.	<i>Coracias garrulus</i>	ყაპყაპი	-
18.	<i>Oriolus oriolus</i>	მოლალური	-
19.	<i>Galerida cristata</i>	ქოჩორა ტოროლა	-
20.	<i>Phoenicurus phoenicurus</i>	ჩვეულებრივი ბოლოცეცხლა	-
21.	<i>Phoenicurus ochruros</i>	შავი ბოლოცეცხლა	-
22.	<i>Motacilla alba</i>	თეთრი ბოლოქანქარა	-
23.	<i>Lanius minor</i>	შავშუბლა ღაჟო	-

24.	<i>Sturnus vulgaris</i>	შოშია (შროშანი)	-
25.	<i>Emberiza melanocephala</i>	შავთავა გრატა	-
26.	<i>Carduelis carduelis</i>	ჩიტბატონა	-
27.	<i>Turdus merula</i>	შაშვი	-
28.	<i>Erithacus rubecula</i>	გულწითელა	-
29.	<i>Troglodytes troglodytes</i>	ჭინჭრაქა	-

ქვეწარმავლებიდან და ამფიბიებიებიდან (კლასი: Reptilia et Amphibia) ლიტერატურული და საველე კვლევის შედეგების მიხედვით საპროექტო ტერიტორიაზე გავრცელებულია -

ქვეწარმავლებიდან: სპილენძა (*Coronella austriaca*), ბოხმეჭა (*Anguilis fragilis*), წყლის ანკარა (*Natrix tessellata*), ჩვეულებრივი ანკარა (*Natrix natrix*), ქართული ხვლიკი (*Darevskia rudis*) და მდელის ხვლიკი (*Darevskia praticola*). ამფიბიებიებიდან: ტბორის ბაყაყი (*Pelophylax ridibundus*) და მცირეაზიური ბაყაყი (*Rana macrocnemis*).

ზემოქმედება დაცულ ტერიტორიებზე

ობიექტი არ შედის ტყის ფონდის და დაცული ტერიტორიების ფარგლებში.

საპროექტო ტერიტორია არ არის მოქცეული რაიმე დაცული ან განსაკუთრებული სტატუსის მქონე ტერიტორიებში.

ასევე აღსანიშნავია, რომ საპროექტო ტერიტორიაზე არ ვხვდებით საქართველოს წითელი ნუსხით დაცულ რომელიმე სახეობას.

კუმულაციური ზემოქმედება

საპროექტო ტერიტორიაზე და მის მიმდებარედ, კუმულაციური ზემოქმედება დაკავშირებულია მდ. ზემო კუხიდან წყლის მოხმარებასთან, რომელიც გამოყენებული იქნება არსებულ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთებზე გასაშენებელი ნარგავებისთვის.

აღსანიშნავია, ის რომ დაგეგმილი საქმიანობა არ ითვალისწინებს რეზერვუარის მშენებლობას, შესაბამისად არ მოხდება დიდი რაოდენობის წყალაღება/წყალმოხმარება.

გარდა ზემოაღნიშნულისა, წვეთოვანი სისტემის საშუალებით არ იარსებებს „წყლის ფუჭი ხარჯი“, რადგან წვეთოვანი სისტემის შემთხვევაში მინიმალურია წყლის დანაკარგი.

სხვა განსაკუთრებით მნიშვნელოვანი კუმულაციური ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის.

ზემოქმედება ადამიანის ჯანმრთელობასა და სოციალურ მდომარეობაზე

დაგეგმილი საქმიანობის პროცესში მომსახურე პერსონალის და სხვა ადამიანებზე, მათ ჯანმრთელობასა და უსაფრთხოებაზე უარყოფითი ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის.

სამელიორაციო სისტემის მოსაწყობად საჭირო იქნება 10 ადამიანი. ხოლო, სამუშაო გაგრძელდება 15 დღის მანძილზე.

შპს „ბუნებას“ საქმიანობა დადებითად აისახება სოციალურ გარემოზე.

დასკვნები

- ✓ დაგეგმილი საქმიანობის განხორციელებისთვის შერჩეული საპროექტო ტერიტორია წარმოადგენს დაბალ სენსიტიურ არეალს როგორც ფლორისტული, ისე ფაუნისტური თვალსაზრისით.
- ✓ შერჩეული საპროექტო ტერიტორია არ ექვევა ზურმუხტის ქსელის რომელიმე საიტში ან დაცული ტერიტორიები ფარგლებში
- ✓ დაგეგმილი საქმიანობის განხორციელების არეალში არ ვხვდებით საქართველოს წითელი ნუსხით დაცულ რომელიმე სახეობას
- ✓ მშენებლობის ეტაპზე სამუშაოები განხორციელდება მაქსიმალურად მჭიდრო ვადებში, რათა არ მოხდეს ბიომრავალფეროვნების წარმომადგენლების შეწყობა.
- ✓ სამშენებლო სამუშაოები ჩატარდება სპეციალური ტექნიკის გამოყენების გარეშე.
- ✓ საერთო ჯამში, პროექტის გავლენის ზონაში არსებულ ბიომრავალფეროვნებაზე გავლენა შეიძლება შეფასდეს როგორც უმნიშვნელო.
- ✓ სკრინინგის ანგარიშში წარმოდგენილი გარემოებებიდან გამომდინარე - პროექტით გათვალისწინებულ სამუშაოებს არ აქვს მნიშვნელოვანი ზემოქმედება გარემოს რომელიმე კომპონენტზე.

სკრინინგის ანგარიში შემუშავებულია საკონსულტაციო კომპანია „აგრო სოლუშენს“ -ის (ს/კ 419997007) მიერ.

03.05.2022

დირექტორი

დიანა ბერია

